



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

26/04/2024



MES 1 24 0000530093

ა(ა)იპ - გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის „ქართული ტრადიციული მუსიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27² -ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27⁵ - ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27⁵ - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27⁶ - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „სრულად ან/და მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27⁵-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მამიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27^ბ-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, თუ ყველა სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) 2023 წლის 8 დეკემბრის №01 წერილით (ცენტრში რეგისტრაციის - №1682498) ა(ა)იპ - გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ იქნა სააკრედიტაციო განაცხადი „ქართული ტრადიციული მუსიკის“ საბაკალავრო, "მუსიკოლოგიის (ქართული ტრადიციული მუსიკა)" სამაგისტრო და "ქართული ტრადიციული მუსიკის ლოტბარ-შემსრულებლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თაობაზე.

2.2. ცენტრის 2023 წლის 27 დეკემბრის №1773282 ბრძანების საფუძველზე, ა(ა)იპ - გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მადიებლად. ცენტრის დირექტორის 2024 წლის 17 იანვრის №40302 ბრძანების საფუძველზე, შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც დაწესებულებაში ვიზიტი „ქართული ტრადიციული მუსიკის“ საბაკალავრო, "მუსიკოლოგიის (ქართული ტრადიციული მუსიკა)" სამაგისტრო და "ქართული ტრადიციული მუსიკის ლოტბარ-შემსრულებლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შეფასების მიზნით განახორციელა 2024 წლის 15 და 16 თებერვალს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დასკვნის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი „ქართული ტრადიციული მუსიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	x			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	x			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	x			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	x			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	x			

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2024 წლის 12 აპრილს.

2.4 სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება, კერძოდ აკრედიტაციის საბჭომ 5.3 კომპონენტში არსებული კლასტერული რეკომენდაცია გადაიტანა კლასტერულ რჩევაში. შესაბამისად, „ქართული ტრადიციული მუსიკის“ საბაკალავრო პროგრამის შეფასება 5.3 კომპონენტში ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. აღნიშნულმა არ გამოიწვია „ქართული ტრადიციული მუსიკის“ საბაკალავრო პროგრამასთან მიმართებით 5 კომპონენტის ცვლილება.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27² -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶ -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ 15 ხმით არცერთის წინააღმდეგ

გადაწყვეტა:

1. დაკმაყოფილდეს ა(ა)იპ - გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ „ქართული ტრადიციული მუსიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია შემდეგი კლასტერის ვადით, 2030 წლის 31 დეკემბრამდე.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა „ქართული ტრადიციული მუსიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2024 წლის 26 აპრილის №476447 სხდომის ოქმის № 01 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რჩევები:

რჩევები:

1. განიხილეთ სტუდენტებთან ეფექტური კომუნიკაციის გზები, რომ მათთვის უფრო ნათელი გახდეს პროგრამის ფუნქციონირებისა და აკადემიური მოთხოვნები - მაგალითად, შეიმუშავეთ

და დანერგეთ სტუდენტური პორტალი (სადაც სასწავლო კურსების შესახებ ისეთი დეტალური ინფორმაცია იქნება მოცემული, როგორცაა: გამოცდის თარიღები, გამოცდის შედეგები, შეფასებები, სილაბუსები, ცხრილები, საკონსულტაციო საათები).

2. გამოიყენოთ თანმიმდევრული ენა პროგრამის დოკუმენტში მოცემულ სათაურებში (მიზანი და/ან ამოცანა) (aim/objective and/or goal)

3. სტუდენტებისთვის დააზუსტეთ თუ რა განსხვავებაა შესაფასებელ დავალებასა და მასთან დაკავშირებულ სწავლის შედეგს შორის.

4. პრაქტიკული კურსების სილაბუსებში, სასურველია განახლდეს და დაემატოს სწავლა-სწავლების მეთოდები.

5. სასურველია, სწავლების მეთოდების ხელშეწყობისთვის დაემატოს ელექტრონული სწავლების პლატფორმა.

6. სასურველია, რომ სასწავლო კურსით გათვალისწინებული სილაბუსები ითვალისწინებდეს თითოეული სასწავლო კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას, რომლის მიღწევაც შესაძლებელია კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმებისა და რუბრიკების გამოყენებით. კურსის სილაბუსებში, შეფასების სისტემის, ფორმების, კომპონენტებისა და მეთოდების შესახებ ინფორმაცია უფრო კონკრეტულად უნდა იყოს მოცემული.

7. უზრუნველყავით პოლიტიკის უწყვეტი განვითარება სტუდენტისთვის გასაგებ ენაზე.

8. შეაფასეთ ინგლისური ენის მიწოდების ეფექტურობა, პროგრამის მიზნების მხარდასაჭერად.

9. უზრუნველყავით პლაგიატის გამოვლენის ინსტრუმენტის წარმატებით განხორციელება.

10. სასურველია, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას ჰქონდეს კლასტერში შემავალი პროგრამების მსგავს პროგრამებთან შედარების („ბენჩმარქინგის“) დოკუმენტი, თავის ანალიზთან ერთად, რომელიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას საშუალებას მისცემს უფრო ნათლად გამოავლინოს ახალი ტენდენციები და მიდგომები ამ სფეროში.

11. სასურველია, ისწრაფოდეთ უფრო მეტად ყოვლისმომცველი გარე შეფასების მიღებისკენ, რათა უზრუნველყოთ პროგრამის შინაარსისა და განხორციელების კრიტიკული მხარდაჭერა და საუკეთესო პრაქტიკასთან შედარება.

12. შეიმუშავეთ დოკუმენტაცია და სისტემური მიდგომები, რომ მხარი დაუჭიროთ ხარისხის უზრუნველყოფის კულტურის გაუმჯობესებას; მაგალითად, გაწერეთ მკაფიო პროცესი პერიოდული შეფასებისთვის

13. პროგრამის გუნდმა და სასწავლო პერსონალმა უნდა ითანამშრომლოს ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტთან, რათა ჩამოუყალიბდეთ აკრედიტებული პროგრამის მიწოდების მოთხოვნების საკუთარი აღქმა, ხარისხის კულტურის დანერგვით, რომელიც ხელს უწყობს როგორც სტუდენტთა, ასევე პერსონალის სამუშაოს.


4. დაწესებულების შუამდგომლობის საფუძველზე, საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2024 წლის 12 აპრილს.

5. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24¹ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს წევრი
დურული ციური



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ლომინაძე თამარ



№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქართული ტრადიციული მუსიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	
8	კვალიფიკაციის დონე	მე-6
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამუსიკო ხელოვნების ბაკალავრი ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორობაში (ლოტბარი/რეგენტი)
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0215 მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ფაქტობრივი მისამართი 1: ზ. ანჯაფარაძის #21, ვაკის რაიონი, თბილისი, 0179, საქართველო. ფაქტობრივი მისამართი 2: საქართველო, ქალაქი თბილისი, თამარაშვილის ქუჩა N6 (ნაკვეთი 42/137)
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

16	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2024 წლის 12 აპრილი
17	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	
18	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2030 წლის 31 დეკემბერი